ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2017 წლის განმავლობაში გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ

- 2017 წლის მანძილზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებაში - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 2 განცხადება. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია;

- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით სამმართველოში მოთხოვნა არ შემოსულა;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებაში - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილებები მიღებული იქნა სამმართველოს უფროსის მიერ;

- სამმართველოს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება/დამუშავებას ადგილი არ ჰქონია;

- საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევები არ დაფიქსირებულა. აგრეთვე არ მომხდარა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადება;

- 2017 წლის მანძილზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 1.95 ლარი (ერთი ლარი და 95 თეთრი) ლარი.